

## მენტორობის კანდიდატთა კონკურსის შესახებ

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, მასწავლებლობის მაძიებლობის მხარდაჭერის 2013-2014 სასწავლო წლის სახელმწიფო პროგრამის ხელშეწყობის მიზნით, აცხადებს მენტორობის კანდიდატთა კონკურსს.

მასწავლებლობის მაძიებლობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მაძიებლებს-დამწყებ მასწავლებლებს პრაქტიკული პედაგოგიური უნარების მიღებაში, საგნობრივი ცოდნის გაღრმავებასა და სასკოლო გარემოსთან ადაპტაციაში.

2013-2014 სასწავლო წელს მაძიებლობის სახელმწიფო პროგრამა განხორციელდება **თბილისში, მცხეთაში, რუსთავში, გორში, თელავში, ახალციხეში, ქუთაისში, ოზურგეთში, ზუგდიდში, ფოთსა და ბათუმში**, შესაბამისად, კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ აღნიშნული ქალაქების საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგებს.

### მენტორის სამუშაოს აღწერა და ფუნქციები

- ხელმძღვანელობს და კოორდინირებს უწყვეს მასწავლებლობის მაძიებლის პედაგოგიურ საქმიანობას ერთწლიანი მაძიებლობის პერიოდის განმავლობაში.
- ხელმძღვანელობს არაუმეტეს 4 მაძიებელს.
- მაძიებლობის პერიოდის დასაწყისში წარუდგენს მაძიებელს სკოლის ხელმძღვანელობას და მასწავლებლებს.
- განსაზღვრავს მაძიებლის ინდივიდუალურ საჭიროებებს და მაძიებელთან თანამშრომლობით ქმნის მასწავლებლობის მაძიებლის ინდივიდუალურ პროგრამას, რომელიც აღწერს მაძიებლობის პერიოდის გავლის ეტაპებს, მაძიებლისა და მენტორის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების ჩამონათვალს, შესრულების პერიოდულობასა და მაძიებლობის პერიოდის გავლის შედეგად მისაღწევ შედეგებს.
- ატარებს თემატურ და მიზნობრივ კონსულტაციებს მაძიებელთან, უზიარებს მას პროფესიულ გამოცდილებას და აძლევს სათანადო რჩევებს მაძიებლის საჭიროებებიდან გამომდინარე.
- ხელმძღვანელობს მაძიებლის მიერ საგაკვეთილო, სააღმზრდელო და დამატებით ინდივიდუალურ მუშაობას.
- ხელს უწყობს მაძიებელს პროფესიული საქმიანობის წარმართვაში, მოტივაციის ამაღლებასა და სასკოლო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.
- მონაწილეობს მენტორთა ტრენინგებსა და ცენტრის მიერ ორგანიზებულ გამოკითხვებსა და კვლევებში, აგრეთვე თანამშრომლობს ცენტრის წარმომადგენელთან მაძიებლობის პერიოდის მონიტორინგის განმავლობაში.
- პერიოდულად წარუდგენს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს მაძიებლის საქმიანობასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას.
- მონაწილეობს მაძიებლის მიერ სადემონსტრაციო გაკვეთილისა და მაძიებლის პორტფოლიოს მომზადებაში.
- ესწრება და მაძიებელთან ერთად აანალიზებს სადემონსტრაციო გაკვეთილს.
- აფასებს მაძიებლის საქმიანობას ყოველ სემესტრსა და სასწავლო წლის ბოლოს.
- ქმნის მენტორის პორტფოლიოს და ზრუნავს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე.
- იცავს მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტსა და მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსს.

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ იხილოთ ცენტრის ვებ-გვერდი: [www.tpdc.ge](http://www.tpdc.ge) და "მასწავლებლობის მაძიებლად რეგისტრაციისა და მაძიებლობის პერიოდის გავლის წესი".

### საკვალიფიკაციო მოთხოვნები

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სერტიფიცირებულ პედაგოგებს, რომლებსაც გააჩნიათ პედაგოგად

მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება, ასწავლიან საჯარო ან კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში და გააჩნიათ საკმარისი თავისუფალი დრო მაძიებელთან/მაძიებლებთან მუშაობისთვის.

### **პიროვნული თვისებები/კომპეტენციები**

მოტივირებულობა და მზაობა გაუზიარონ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკა დამწყებ მასწავლებლებს;

ენერგიულობა;

კომუნიკაციისა და მსჯელობის უნარი;

ორგანიზებულობა და პასუხისმგებლობის გრძნობა;

ისტ ტექნოლოგიების ფლობა.

### **კონკურსის ჩატარების ფორმატი**

პირველი ეტაპი: კონკურსის პირველ ეტაპზე მიიღება მენტორობის კანდიდატთა ელექტრონული განაცხადები სამოტივაციო წერილთან ერთად (იხ. **მენტორობის კანდიდატის განაცხადი და სამოტივაციო წერილი**).

მეორე ეტაპისთვის განიხილება მხოლოდ დასრულებული დოკუმენტები. განხილვის შემდეგ პროგრამის ადმინისტრაცია დაუკავშირდება მხოლოდ კონკურსის მეორე ეტაპზე გასულ კანდიდატებს.

მეორე ეტაპი: გასაუბრება და გაკვეთილის გეგმის პრეზენტაცია (პრეზენტაციის დრო-5 -10 წთ) მენტორობის კანდიდატთა მიერ. მეორე ეტაპზე გასულ კანდიდატებს შესაძლებლობა აქვთ შეარჩიონ სასურველი თემა/საკითხი სასწავლო გეგმიდან და გასაუბრებაზე წარმოადგინონ გაკვეთილის გეგმის ელ. ვერსია (იხ. **გაკვეთილის გეგმის მოკლე აღწერა**). მეორე ეტაპიდან ერთი კვირის განმავლობაში პროგრამის ადმინისტრაცია დაუკავშირდება მხოლოდ იმ კანდიდატებს, რომლებიც წარმატებით გაივლიან კონკურსს.

დაინტერესებულმა კანდიდატებმა გთხოვთ წარმოადგინოთ მენტორობის კანდიდატის ელექტრონული განაცხადი და სამოტივაციო წერილი შემდეგი ელ. ფოსტის მისამართებზე: **ntipge@tpdc.ge** და **nchitava@tpdc.ge** 2013 წლის 8 ოქტომბრიდან 18 ოქტომბრის 17.00 სთ-ის ჩათვლით. განაცხადი წარმოდგენილ უნდა იქნას ორივე ზემოთ მოცემულ მისამართზე, საგნის დასახელების ველში ვაკანსიის, საგნისა და ვინაობის მითითებით.

ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული ენის მასწავლებლებმა გაკვეთილის გეგმა უნდა წარმოადგინონ შესაბამის უცხო ენაზე.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ იმ სერტიფიცირებულ პედაგოგებსაც, რომლებსაც შეიძინეს მენტორობის გამოცდილება 2008-2013 სასწავლო წლებში განხორციელებულ მაძიებლობის საპილოტე და სახელმწიფო პროგრამაში. მონაწილეობის სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ წარმოადგინოთ მენტორის სტატუსით გაწეული საქმიანობის მოკლე ანგარიში და სამოტივაციო წერილი აღნიშნული ელ. ფოსტის მისამართებზე. მენტორობის გამოცდილები მქონე პედაგოგები გაივლიან გასაუბრებას და წარმოადგენენ მენტორის პორტფოლიოს.

დაინტერესებულმა პედაგოგებმა მენტორობის განაცხადები გთხოვთ წარმოადგინოთ ქვემოთ მოცემული საგნებისა და ქალაქების გათვალისწინებით :

**თბილისი:** დაწყებითი საფეხური, ქართული ენა და ლიტერატურა (I-VI და VII-XII), ინგლისური ენა, გერმანული ენა, ფრანგული ენა, რუსული ენა, ისტორია, სამოქალაქო ისტორია, გეოგრაფია, ხელოვნება, მათემატიკა (I-VI და VII-XII), ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და ბუნებისმეტყველება.

**მცხეთა:** ისტორია და დაწყებითი საფეხური.

**რუსთავი:** დაწყებითი საფეხური, ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, რუსული ენა, ისტორია, ხელოვნება, მათემატიკა, ქიმია და ბიოლოგია.

**გორი:** დაწყებითი საფეხური, ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ისტორია და ბიოლოგია.

**თელავი:** დაწყებითი საფეხური, ბიოლოგია, მათემატიკა, ინგლისური ენა და ისტორია.

**ახალციხე:** ქართული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და ისტორია.

**ქუთაისი:** დაწყებითი საფეხური, ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, გერმანული ენა, მათემატიკა, ისტორია, ბიოლოგია და გეოგრაფია.

**ზუგდიდი:** დაწყებითი საფეხური, ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ისტორია და ქიმია.

**ოზურგეთი:** დაწყებითი საფეხური, ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა და ისტორია.

**ფოთი:** ქართული ენა და ლიტერატურა და ინგლისური ენა.

**ბათუმი:** დაწყებითი საფეხური, ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა და ბიოლოგია.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით:

პროგრამის კოორდინატორი- ეკა მამაცაშვილი

ელ-ფოსტა: [emamatsashvili@tpdc.ge](mailto:emamatsashvili@tpdc.ge)

ტელ: 2 200 220 (49 02)

თბილისი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

მისამართი: გმირ კურსანტთა ქ. #1